
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

74183407238122

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220061872

რეგისტრაციის თარიღი

24.01.2022 წ

ნოტარიუსი: ზაზა მეგრელიშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, სტანისლავსკის ქუჩა №5

ტელეფონი: 599313105

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას **ოცდაორი** წლის **ოცდაოთხ იანვარს** მე ზაზა მეგრელიშვილს, ნოტარიუსს ქალაქ თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, სტანისლავსკის ქუჩა #5, მომმართა **ტატო მიროტაძემ,** როგორც **შპს კონცეპტ დეველოპმენტი**-ს (ს/კ: **402176220) დირექტორმა** (შემდგომში „მიმნდობი პირი"), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ტატო მიროტაძემ** (დაბადებული: **08.03.1992** წელს. რეგისტრირებული მისამართი: **ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 78, ბინა 123.** პირადი **#01008051070**) მომმართა. აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მიმნდობი პირის უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B20104918, 22/12/2020 10:59:50**) საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ იგი ნამდვილად არის ზემოაღნიშნული კომპანიის დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მიმნდობმა პირმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ტატო მიროტაძემ,** როგორც **შპს კონცეპტ დეველოპმენტი**-ს **დირექტორმა,** წინამდებარე მინდობილობით **დარეჯან ახვლედიანს** - დაბადებული: **02.12.1964** წელს. პირადი **#31001012947** (შემდგომში „მინდობილი პირი") მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილებები:

1. მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს **შპს კონცეპტ დეველოპმენტი**-ს წარმომადგენლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მერიაში, გამგეობებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არქიტექტურის სამსახურებში, ქონების მართვის სააგენტოებში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურებში, საკრებულოებში, ნებისმიერ არქივში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნოტარიუსთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში. იგი უფლებამოსილია ჩემი (როგორც დირექტორის) სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, შეაგროვოს დოკუმენტები, შეიტანოს განცხადებები, ჩემი სახელით ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები (მათ შორის არქიტექტურის სამსახურის და/ან მერიის/გამგეობის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილები, მითითებები, განცხადებები, ნებართვები და სხვა ნებისმიერი ტიპის სათანადო დოკუმენტები), აწარმოოს **შპს კონცეპტ დეველოპმენტი**-ს უძრავ ნივთზე/ნივთებზე ნებისმიერი ტიპის სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, ასევე მოამზადოს პროექტები, განაახლოს პროექტები, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ/სამოქალაქო წარმოებაში და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

2. მინდობილი პირი უფლებამოსილია იმოქმედოს შესაბამისი ნახაზების (მათ შორის საკადასტრო, შენობის შიდა აზომვითი ნახაზების და სხვა ნებისმიერი ნახაზის) მომზადების მიზნით და ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ამ მიზნით ყველა საჭირო დოკუმენტაცია, აგრეთვე მიიღოს/გასცეს ნებართვები/თანხმობები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზემოაღნიშნული დავალების სრულად შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორიათას **ოცდასამი** წლის **ოცდახუთ იანვრამდე.**

მინდობილობა გაცემულია **სამ** იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ზაზა მეგრელიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში **და თან ერთვის ზემოთ მითითებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,** ხოლო დანარჩენი ეგზემპლარი გადაეცა კომპანიის დირექტორს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 ლარი და 39-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი. სულ გადახდილია 12 ლარი.

ნოტარიუსი: /ზაზა მეგრელიშვილი/